



# ონის მუნიციპალიტეტის მერია

## ონის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება

ქ. ონი



N 478  
03/04/2018

478-02-4-201804031739



### ონის მუნიციპალიტეტის მერიის ცალკეული პროფესიული საჯარო მოხელეების დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-3 პუნქტის  
საფუძველზე,

#### **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

1. ონის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატისთვის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:

ა) უმაღლესი განათლება;

ბ) ზედამხედველობის სფეროში არანაკლებ ხუთწლიანი სამუშაო გამოცდილება, მათ შორის ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის 2 წლიანი გამოცდილება;

გ) კომპიუტერული პროგრამების (MS Word, Excel) კარგად ცოდნა;

დ) შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:

- საქართველოს კონსტიტუცია;
- ევროპული ქარტია „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“;
- საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;
- საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“;
- „ონის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 18 ივლისის №19 დადგენილება.

ე) უნარ-ჩვევები: ეფექტური კომუნიკაციისა და მოლაპარაკებების წარმართვის უნარი, საჯარო დაწესებულების წარმომადგენლობის უნარი; გუნდური განვითარების უნარი; სტრატეგიული და კომპლექსური აზროვნების უნარი; ცვლილებების/სიახლეების ინიცირებისა და მართვის უნარი; პრობლემების გადაჭრისა და კონფლიქტების მართვის უნარი.

2. ონის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატისთვის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:

ა) უმაღლესი განათლება;

ბ) შესყიდვების სფეროში არანაკლებ ხუთწლიანი სამუშაო გამოცდილება, მათ შორის ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის 2 წლიანი გამოცდილება;

გ) კომპიუტერული პროგრამების (MS Word, Excel) კარგად ცოდნა;

დ) შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:

- საქართველოს კონსტიტუცია;
- ევროპული ქარტია „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“;
- საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;
- საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
- „ონის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 18 ივლისის №19 დადგენილება.

ე) უნარ-ჩვევები: ეფექტური კომუნიკაციისა და მოლაპარაკებების წარმართვის უნარი, საჯარო დაწესებულების წარმომადგენლობის უნარი; გუნდური განვითარების უნარი; სტრატეგიული და კომპლექსური აზროვნების უნარი; ცვლილებების/სიახლეების ინიცირებისა და მართვის უნარი; პრობლემების გადაჭრისა და კონფლიქტების მართვის უნარი.

3. ონის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის მშენებლობისა და სივრცითი მოწყობის საკითხებში II კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატისთვის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:

ა) უმაღლესი განათლება;

ბ) მშენებლობის, არქიტექტურის ან/და სივრცითი მოწყობის სფეროში მუშაობის არანაკლებ ერთ წლიანი გამოცდილება;

გ) კომპიუტერული პროგრამების (MS Word, Excel) კარგად ცოდნა;

დ) შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:

- საქართველოს კონსტიტუცია;
- ევროპული ქარტია „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“;
- საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;
- საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“;
- „ონის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 18 ივლისის №19 დადგენილება;

ე) უნარ-ჩვევები: ანალიტიკური აზროვნება; გუნდური მუშაობა; დამოუკიდებლად მუშაობის უნარი; ეფექტიანი კომუნიკაციის უნარი; დროის ეფექტიანი მართვის უნარი.

4. ონის მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწის (მდივანი) - I კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატისთვის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნებია:

ა) უმაღლესი განათლება;

ბ) კომპიუტერული პროგრამების (MS Word, Excel) კარგად ცოდნა;

გ) შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:

- საქართველოს კონსტიტუცია;
- ევროპული ქარტია „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“;
- საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;
- საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“;
- „ონის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 18 ივლისის №19 დადგენილება;

დ) უნარ-ჩვევები: გუნდური მუშაობა, დეტალებზე ორიენტირება; კომუნიკაცია მოქალაქეებთან; ინფორმაციის შეგროვების და ანალიზის უნარი; დროის ეფექტიანი მართვა.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ემზარ საბანაძე



მუნიციპალიტეტის მერი